გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესაზვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ამ თთვის 29 გამოვა ბათუმიდგან და ხაშურში ჩამობრძანდება. აქედგან დიდი მთავარი აბასთუმანს გაემგზავრება, სადაც ერთხანს დარჩება საექიმოდ.

ბათუმიდამ გამოაცილებს დიდს მთავარს კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი. ხაშურში დახვდება ტფილისის გუბერნატორი თავ. შარვაშიძე, რომელიც ამ თთვის 28-ს ხავა ქალაქიდგან.

*** სამთო დაწესებულებათა გამგე კავკასიაში ბ-ნი დევი მე-2 ამ თთვის 25-ს ტფილისში დაბრუნდა.

*** რუსული დრამატიული წარმოდგენები, როგორც ეტყობა, შუა მომავალ თთვემდე არც-კი დაიწყება, რადგან დასი სრულად არ შეკრებილა. ზოგიერთი არტისტი ჩამოვიდა, მაგრამ ზოგნი შუა იმ თთვემდე ვერ მოაღწევენ ტფილისამდე, რის გამო წარმოდგენებიც ამაზე უფრო ადრე ვერ გაიმართება.

*** პრინცი ლუი ნაპოლეონი ამ თთვის 26 ზუგდიდიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** ენკენისთთვის პირველს რიცხვებში პეტერბურგიდამ გამოემგზავრება ყირიმსა და ჩვენს მხარეში სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ოსტროვსკი.

*** ერთი წევრი აკლდა ჩვენის ქალაქის გამგეობას, რადგან ბ-ნი ივანენკო დროებით (10-ის დღით) წასული იყო თავისს საქმეებზედ. ამ ჟამად ბ-ნი ივანენკო დაბრუნდა და თავისს საქმეებს შეუდგა კიდეც, ასე რომ ეხლა მთელი გამგეობა სრულად არის თავისს ადგილზე.

*** ორშაბათს, 26 მარიამობისთვეს, როგორც ნათქვამი გვქონდა, უფროსმა თავმჯდომარემ ტფილისის სამოსამართლო პალატისამ ბ-ნმა ფონ-ვენდრიხმა ამ დაწესებულების სადგომშივე ინახულა ყველა მოხელე ტფილისის სამოსამართლო უწყებისა.

*** ტფილისის I-ლს კლასიკურს გიმნაზიას ამ წლისათვის მოუწვევია ზოგიერთი ახალი მასწავლებელი. ფრანგულის ენის მასწავლებლად მოწვეულია ქალაქ ორენბურგის საკადეტო კორპუსის მასწავლებელი ბ-ნი კნიპერი; ძველის ენების მასწავლებლად გიმნაზიას მიუწვევია პეტერბურგის საისტორიო-საფილოლოგიო ინსტიტუტში სწავლადამთავრებული ბ-ნი როვნიაკოვი, რომელსაც ამ ოთხის წლის წინად სტავროპოლის გიმნაზიაში გაუთავებია სწავლა ოქროს მედალითა. წერისა და ხატვის მასწავლებლის ამორჩევა I-ლს კლასიკურს გიმნაზიას პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიისათვის უთხოვნია და იმას დაუსახელებია მხატვარი გრეჩანინოვი, რომელიც უკვე მოიწვია გიმნაზიის მთავრობამ.

*** ტფილისში ჩამოვიდა ყველა სასწავლებლთა ინსპექტორი ბ-ნი პავლოვი, რომელსაც განზრახვა აქვს კავკასიის ზოგიერთი სასწავლებელი დაათვალიეროს.

*** ქალაქ სამზევარიდგან (სპარსეთშია) ბ-ნ ალექსანდრე ლოლუასაგან მოგვივიდა ექვსი მან. განსვენებულის პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 180 მა. 26 კაპ. ამიანად შესდგა 186 მან. 26 კაპ.

*** ამ თთვის 26 ღამის მატარებელით ტფილისიდგან ბაქოში გაემგზავრა ხუთი უცხოელი მგზავრი, რომელნიც კავკასიაში ნავთის წყაროების და სხვა-და-სხვა მადნებისა და მადნის წყლების შესასწავლად მოგზაურობენ.

*** რკინის გზის კონდუქტორებს გადაუწყვეტიათ, ხელის მოწერით ფული მოაგროვონ იმ გლეხთა სასარგებლოდ, რომელთაც წელს პური არ მოსვლიათ და სიმშილი ჰოელით.

*** გუშინ, ამ თთვის 27, კატორგაში გასაგზავნ ტუსაღების ციხიდგან გაქცეულ ეიუბოვების საქმე პოლიციამ ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს გადასცა და ამ უკანასკნელმა სასამართლოს გამომძიებელს. პოლიციას აღმოუჩენია, რომ ციხიდამ გაქცეულ ტუსაღებისთვის რომელსაღაც დარაჯს გადაუცია გასაღებები და ამიტომ პოლიციამ ამ თთვის 26 დააპატიმრა ციხის ზედამხედველად ნამყოფი კოჩერკინი, რომელიც ამ თთვე ნახევრის წინად ციხიდგან დათხოვნილი იქმნა რაღაცა საქმისათვის და დათხოვნის შემდეგ კოჩერკინმა გამოუცხადა ციხის უფროსს, რომ ციხის კარის გასაღებები დავკარგეო. მაშინვე გასაღებები ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერას გახდნენ-რა. როგორცა სჩანს ეხლა, გასაღებები კოჩერკინს ეიუბოვებისთვის გადაუცია. ეიუბოვები ისე არხეინად გამოსულან ციხიდგან, რომ ციხის პირ-და-პირ ყურძენი უყიდნიათ საჭმელად და შემდეგ ცხენის რკინის გზით ჩითახოვის ქარხანისკენ წასულან; აქ დამზადებული ჰყოლიათ ცხენები და ქალაქიდგან თავშიშველა და ფეხშიშველა სოღანლუღისკენ გაქცეულან.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ნათქვამი გვქონდა, რომ რუსის პროფესორის ბ-ნ მენდელევის მოწაფეს რადინს განზრახვა აქვს, ტფილისის ახლო გამართოს ღვინის ხაშურის ქარხანაო. ამ ღვინის ხაშურს ძალიან დიდი ბაზარი ჰქონია საზღვარ გარედ. საქმე ისაა რომ, ყურძნის დაწურვის შემდეგ, ძირში ილექება ერთგვარი ნივთიერება, რომელიც, გამხმარი, ძვირადა ღირს. ეს სწორედ ის ღვინის ხაშურია, რომლის შემწეობით უცხო ქვეყნებში ღვინის მცოდნენი დაბალის ხარისხის ღვინოს კარგ ღვინოდ აკეთებენ. ჩვენში დიდს ძალს ღვინის ხაშურს აგროვებენ უცხო ქვეყნიდამ მოსული აგენტები და პირდაპირ მარსელს ჰგზავნიან, სადაც ამ ხაშურს ქარხნებში ქიმიაში აზავებენ, ღვინოს აკეთებენ, რუსეთშივე ჰგზავნიან და ერთი სამად ჰყიდიან. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ფილოქსერა გაჩნდა და საუკეთესო ვენახები წაახდინა, იმავ უცხო ქვეყნის აგენტები ჩვენში აგრეთვე დიდს ძალს კავკასიისა და სპარსეთის ქიშმიშს ჰყიდულობენ ღვინის გასაკეთებლად. თუმცა ღვინის ხაშურის ქარხნები არსებობს საზღვარ გარედ, მაგრამ ქიმიურად ამ ხაშურის გაკეთება ისე ძვირად ჯდება, რომ ისევ კავკასიაში ამჯობინებენ ჰყიდვას ამ ძვირფას ნაწარმოებისას, რომელიც ხშირად უსარგებლოდ ეკარგებათ ჩვენში ვენახის პატრონებს.

## ფელეტონი

### რიონის ხეობა

(მგზავრის შენიშვნები)

როდესაც თითქმის ყოველ მხრიდგან ცნობის მოყვარეობით აღჭურვილი უცხო ქვეყნელები დიდის მოწიწებით ესწრაფებიან ჩვენის ტურფა ქვეყნის ნახვასა და იმისის მდიდარის, მაგრამ ჯერ ისევ თითქმის ხელ-უხლებელის, ბუნების შესწავლას,—ჩვენ, მისი მკვიდრნი შვილნი, ზოგიერთს მისს მდიდარს არე-მარეს არც-კი ვიცნობთ, არც-კი გვინახავს. ვიცით მხოლოდ, რომ არის ამგვარი მდიდარი და ტურფა ქვეყანა, მაგრამ იმისი ავ-კარგი უცხოელებმა უფრო ბევრი იციან, ვიდრე მისის ტკბილის ძუძუთ აღზრდილმა შვილებმა და ეს, რასაკვირველია, ჩვენი ქართველური სიზარმაცე და უცნობის-მოყვარეობაა, თორემ ნუთუ თითოეულს ჩვენთაგანს არ შეუძლიან თავის პატარა სამშობლოს ყოველი შესანიშნავი კუთხე შემოიაროს, გაიცნოს მისი ავი და კარგი, შეიტყოს მისი, როგორც შემაწუხებელი, აგრეთვე დამალხინებელი გარემოება და ეს ყველაფერი აცნობოს, ვისაც ჯერ არს, და ამით თითონაც ისარგებლოს და ხალხიც ასარგებლოს.

—

თუმცა მეც ბევრჯელ მსმენია რაჭის მდიდარ ბუნების ქება-დიდება, მისის მჟავე წყლების საგრძნობიერო გავლენა ავადმყოფების აგებულებაზედ, მაგრამ, გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, ჯერ არც მე მენახა რაჭა და უწერის მადნის წყლები. დღეს-კი გადავსწყვიტე და შევუდეგი რიონის ხეობაში მდებარე არე-მარის გაცნობასა და მოგზაურობას.

სწორედ ნაშუადღევის პირველი საათი იყო, რომ ოთხის ცხენით შებმული ეტლი 10 ივლისს მოადგა ჩემს ბინას და ერთის საათის შემდეგ მე და ჩემი თანამგზავრნი მოვშორდით ქუთაისის კორიანტელს, სიცხემტვერს და რამდენისამე წამის შემდეგ ლეჩხუმის გზას ვადევგით და ეტლიდგან სიამოვნებით ვათვალიერებდით გარშემო მდებარე არე-მარეს. სწორედ რომ დიდს სიამოვნებას ჰგრძნობს პირველად ამ გზადედ გამვლელი ადამიანი. მართლაც, რომელი ერთის ბუნების სიმშვენიერით და მდებარეობით უნდა დასტკბეთ, არ იცით: გაიხედავთ მარჯვნივ—უფსკრული კლდე-კლდურია და ზემოდგან მშვენიერი ტყე-ველი, რომლიდგანაც მარტო თვალის გადმოვლება შიშის ჟრუანტელს აგიტეხთ. გაიხედავთ მარცხნივ—მოჰქუხს გიჟი რიონი, მუდამ გულ-გაურეცხელი და გაუტანელი, რომლის კიდეებსაც ცხადად ეტყობა მისი სიგიჟე და გულჩახვეულობა. აქ რიონი ისეთის ღრიალითა და სიჩქარით მიეშურება, რომ პოეტს სწორედ ამ მდინარის შესახებ უთქვამს:

„ვით შმაგი ლომი, დაჭრილი, ცხარე,
რბოდა, ჭბღაოდა, მიჭღრიალებდა,
სჭექდა და ჭქუხდა: კლდენი და მთანი
თვის მაშვოთვარს შვილს გადმოჭყურებდნენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ“...

ერთის სიტყვით, რომელის მხრითაც არ გაიხედავთ, ბუნების სურათი ერთი მეორეს სჯობია, ერთი მეორეზედ უფრო მოსაწონი და სასიამოვნოა, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიან: არა, მე უნდა გავაკვირვო და გავაგიჟო მნახველი და არა, მეო.

ბუნების ამ სიმშვენიერით დამტკბარი მიდიხართ ამ უცხო ხეობაში და თითქმის ყოველს ნაბიჯზედ, ცოტა მაღლობ ადგილებზედ, ჰხედავთ ნანგრევ ციხე-კოშკების აღმართულს კედლებს, რომელნიც მოხუცებულობის გამო მთლად დაღრეჯილნი ნაღვლიანად გადმოსჩერებიან თავიანთს გაველანებულს არე-მარეს. ერთს დროს ჩვენთა წინაპართა გაჭირვების დროის თავ-შესაფარი, ურწმუნო ხალხის რისხვის დამცემი და დამამარცხებელი, დღეს მხოლოდ ხავსით შემოსილა, უყურადღებოდ მიგდებულია, მივიწყებული და სრულიად დამხობილია.

ვინ იცის, რამდენი მტერი გაქარწყლებულა და ძირეულად აღმოფხვრილა ამ ისტორიულ სიმაგრეებიდგან? ვინ იცის, რამდენი მწარე და თითქმის გულ-დასათუთქავ ამბების მოწმე იქნება დღეს ეს მივიწყებული ნანგრევი კედლები, რომელიც თავისის დაღრეჯვით თითქოს ამას შესჩივის მგზავრს.

„შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჭოი ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.“

—

რაჭაში მიმავალი გზა გზა-ტკეცილია, რომელზედაც, როგორც მითხრეს, რამდენიმე ათი ათასი მანეთი ყოფილა დახარჯული, მაგრამ ამ გზას მაინც გზობა ნაკლებად ეტყობა. ქუთაისიდგან წამოსული მგზავრად, თუ მეეტლეს არ იცნობთ, როგორც გამოცდილს, მარჯვეს და თავის საქმის კარგად მცოდნეს, აგრეთვე მშვიდისა და ნავალის ცხენების პატრონს, ისე ტყუილად ნუ ინებებთ ამ გზაზედ წამოსვლას, თუ თავი არ გაქვთ გაწირული. წარმოიდგინეთ ვიწრო გზა, ისეთს მაღლობზედ გაყვანილი, რომლიდგანაც მარტო თვალის გადმოვლება საზარელს შიშს და გულის ბარძგალს აგიტეხთ, და ამ გვარს მაღლობზედ გაყვანილს გზას იმ მხრით, საითკენაც უძირო კლდე-კლდურია და უფსკრული ხრამები, სრულიად არაფერი არ აქვს ამოშენებული და არც რაიმე ბოძი ან დიდი ქვები დადებული, ასე რომ, თუ ღმერთი გა-

აი, სწორედ ამიტომ დიდად სასიამოვნოა ღვინის ხაშურის ქარხნის დაარსება ჩვენს ქვეყანაში, რადგან ამიერიდგან ღვინის ნალექი ფასად გავა.

*** სენატის გარდაწყვეტილებით, თუ ქალაქის სამართველოს ვისიმე გარდასახადი ემართება სასამართლოს განაჩენით და ამაზე „აღმასრულებელი ფურცელიც“ ექნება ხელში, ეს „ფურცელი“ ჯერ გამგეობას უნდა წარუდგინოს პატრონმა. გამგეობამ უნდა დააკმაყოფილოს მთხოვნელი იმ ფულიდამ, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვას გადარჩება, მაგრამ ყოველთვის-კი საბჭოს უნდა დაეკითხოს, თუ რომ წინადვე არ ექმნება გამგეობას მინდობილი საბჭოსაგან ასეთის ხარჯის დაკმაყოფილება ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დროსა. თუ რომ ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე თავისუფალი თანხა არ ექმნება გამგეობას, ამ შემთხვევაში გამგეობა მოვალეა, ეს გარემოება საბჭოს მოახსენოს და მოსთხოვოს ვალის დასაკმაყოფილებელი ფული.

*** სოფ. ხოტევი, (რაჭის მაზრა) 17 აგვისტოს გლეხის კაციტაძის მეუღლე რუსუდანი შეიქნა უდროოდ სიკვდილის მსხვერპლი ერთის „უებარის ექიმბაშის“ წყალობით. კაციტაძის მეუღლე რუსუდანი ავად გახდა კისრის ტკივილით. კაციტაძემ მიჰმართა თურმე ნამდვილს ექიმს. იმას შეუმოწმებია ავადმყოფი და უთქვამს, თქვენს მეუღლეს კისრის ძარღვი აქვს გამონასკნული და აქ ამის ექიმობა ყოვლად შეუძლებელია, ავადმყოფი ან ტფილისში უნდა წაიყვანო, ან ქუთაისში და იქ გაუკეთებენ ოპერაციასაო. ამას შემდეგ იმავე ავადმყოფთან მისულა „უებარი სოფლის ექიმბაში“, ვიღაცა თომაძე, და უთქვამს ავადმყოფისათვის: ხომ არ გაგიჟებულხართ, ქათაისში რა გინდათ, იქ ფულებიც ბევრი დაგეხარჯებათ, და ვერც მოგარჩენენ, მე აქ მალე მოგარჩენო. დაუთანხმებია კაციტაძე და ავადმყოფი და გაუჭრია კისრის სატკივარი. გაჭრა მუწუკისა და სიკვდილი საბრალო ახალგაზდა ქალისა ერთი ყოფილა.—კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს ადგილობრივი ბოქაული და იმისთანა ექიმბაშებს ამიერიდგან აუკრძალავდეს ექიმობას.

*** ქ. ქუთაისი. ძლიერ საშიში შეიქმნა ამ ჟამად ქუთაისის ქუჩებში გავლა ღამითაც და დღისითაც, სადაც-კი გაიხედავთ, მთვრალი ხალხი დაბარბაცობს. ჩაჯდებიან ეს ვაჟ-ბატონები ეტლში, მეეტლეს ფულს არ აძლევენ და ამისთვის ერთი ჩხუბი და უბედურება ტრიალებს. 23 ამ თთვის ვიღაცა დამთვრალი კინტო ეტლში ჩამჯდარიყო და ბოლოს მეეტლეს ფულს არ აძლევდა. მოუვიდათ ჩხუბი, კინტომ ხანჯალი იშიშვლა და რამდენსამე კაცს გამოსწევლავდა, რომ ამ დროს პოლიციელები არ მისწრებოდნენ. ეს კინტო პოლიციაში წაიყვანეს, მგრამ მეორე დღეს ისევ არხეინად დასეირნობდა. ზოგიერთმა ურიამ ხომ გააჭირვა საქმე: შეიკრიბებიან ოთხი-ხუთი ერთად, დაითვრებიან და თუ ვინმე შეხვდათ, მაშინვე ჩხუბს აუტეხავენ. 24 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზედ, საქალაქო ბაღის წინ ერთი საწყალი მოხუცი მეეტლე იდგა თავისთვის. ამ დროს მობძანდებოდა ერთად ოთხი მთვრალი ებრაელი, მივიდნენ იმისს ეტლთან და მტვრევა დაუწყეს. მეეტლემ რომ დაუშალა, მისდგნენ, გადმოაგდეს და სულ ცხვირპირი დაამტვრიეს. იქ ამ დროს ერთი პოლიციელიც არ იყო, რომ მიჰშველებოდა მოხუცს. საწყალი თავ-პირ დამტვრეული მეეტლე თვითონვე წავიდა პოლიციაში, გამოაცხადა ეს ამბავი და შემდეგ, როგორც იყო, შეიპყრეს ის ებრაელები.

---

**არჩილური, შვიდ-თავი**

(საამდროო ამიცანები)

—

წარმატებისა მიმდევი, ასაჯაროებს სწავლასა,
ყოველს მოვლენას ყურს უგდებს—ვერ რა მოასწრებს გავლასა,
აქეთაც ზომავს, იქითაც,—ყველას უპირებს მტკავლასა,
ლილიფარივით უყურებს ცოდნის ვარსკვლავის წარვლასა;
ტომსა და ენას არ უკმევს ცრუ საკმევლისა სუნნელსა,
ურცხვის ჩემებით არ სცთება,—სულ ზრუნავს თვისს საზრუნელსა,
ბევრად არ აქებს ბულბულსაც, მეტად აძაგებს თხუნელსა,
ერჩევა თავისს ტოლებში, ბრძავს უმეცრებას უნელსა,
ლახტსა უღერებს მავნესა, სდევნის აზრ მოსაცდუნელსა,
სხვებრ ზოგჯერ, თუ ვსთქვა, ამასაც ბევრს ვამჩნევთ დასაწუნელსა.

---

**ქ. ფოთი.** ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ აქაურის წიგნის მაღაზიის შესახებ, რომელიც ამ ორის წლის წინად დაარსდა ძმ. ნოდიების მიერ. როდესაც გავიგეთ, რომ ბ-ნმა ნოდიამ მიიღო ნება მთავრობისაგან წიგნის მაღაზიის დაარსებისა ფოთში, ყველას გვესიამოვნა, ვიფიქრეთ, ეხლა მაინც შეგვეძლება ყველა ქართულის წიგნის შოვნა და ტფილისისა და ქუთაისიდგან აღარ დაგვჭირდება გამოწერაო; ყველამ კარგად იცის, თუ რა ძნელია ერთის და ორის წიგნის გამოწერა და რა ძვირად უჯდება მყიდველს. ჩვენი იმედი და ფიქრი მეათედადაც არ გამართლდა, გაალეს წიგნის მაღაზია, მაგრამ უწიგნოდ-კი. მთელი ნახევარი წელიწადი ასეთს მდგომარეობაში იყო ეს „უწიგნო წიგნის მაღაზია“ და ვგონებთ ახალი წიგნები არც-კი ჰქონებია. შემდეგ რამდენიმე ქართულ-რუსული წიგნი შეიძინა გასასყიდად, რომლითაც არა თუ ქალაქის საზოგადოებას, არამედ სოფლის საზოგადოებასაც ვერ დააკმაყოფილებდა. ასე უწიგნოდ მიმდინარეობდა მთელი ორი წელიწადი ამ წიგნის მაღაზიის საქმე.

წელს წიგნის მაღაზიასთან ერთად განიზრახეს საზოგადო სამკითხველოს დაარსება, სადაც დღეს უკვე მოიპოვება რამდენიმე სასარგებლო შემოწირული წიგნი. ამ ზაფხულში აქაურის სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა ზემოხსენებულ საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ. რამდენი დარჩათ წმინდა მოგება და ან რა უყვეს ამ ფულს, ჯერ ვერაფერი გაგვიგია. იმედი გვაქვს, რომ აქაური საზოგადოება თითო ოროლა გროშს არ დაიშურებს ამისთანა კეთილის საქმისათვის და მოკლე ხანში ფოთში კარგი საზოგადო სამკითხველო მოეწყობა.

თოთხმეტს ივლისს წიგნის მაღაზია კიდევ დაკეტილი დამხვდა და ზედ მიწებებილი დავინახე პატარა განცხადება: „მაღაზია შესაკეთებელია და ამის გამო დაკეტილი იქნება 13 ივლისიდგან 13 აგვისტომდეო.“ არ ვიცით, მაღაზია თუ დაკეტით შეკეთდება, შიგ-კი, ვგონებ, არამც თუ კაცი, ჭიანჭველაც არ შესულა. ან ერთის დღის შესაკეთებელი საქმე საერთოთთვეოდ რად გაჰხადა; თუმც 13 აგვისტოსთვის დაგვპირდა მაღაზიის გაღებას, მაგრამ ესეც ტყუილი გამოდგა, და აგერ თვრამეტია და მაღაზია ჯერაც დაკეტილია. ნუ თუ არ შეეძლო თავის მაგიერად დაეტოვებინა ვინმე და მაღაზია ღია ყოფილიყო, რომ ქართულის წიგნის ყიდვის მსურველს თავისი სურვილი აქვე დაეკმაყოფილებინა და შორს სიარული და წერილის გზავნა არ დასჭირებოდა?!..

ბახველი

---

**ქალაქი და სოფელი**

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბაბანაური** (თელავის მაზრა). თქვენს მტერს და ავად მახსენებელს დღე დაადგეს, ჩემო მკითხველო, რაც დღე წელს ჩვენ, ბაბანაურელებს დაგვადგა. ვენახების დასეტყვა-გარეგვა ჩვენვერ გაგვაკვირვებს, რადგანაც ჩვეულნი ვარ და კიდეც გადავწყვიტეთ, „ნუნუა“ ბედნიერთ დავუთმოთ. ბუნებას აბა როგორ დევემდურებით, რომ წელს „უზედაშოდ“ დაგვტოვა, როდესაც ზოგიერთის გულ-ქვას წყალობით ლამის უწყლობით სული ამოგვხდეს.

ბაბანაურს სოფლის ბოლოში აქვს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჰქონდა, მშვენიერი წყარო, რომლის ცივი და ანკარა წყალი სწორედ რომ „ნუნუობას“ გვიწევდა, ნამეტნავად ზაფხულობით. რადგანაც ამ წყაროს ძალიან დაბლა ჰქონდა წყლის გადმოსასვლელი მილი, საიდგანაც წვიმის წყალი შევარდებოდა ხოლმე შიგ და გვიმღვრემდა წყალს, ამიტომ ერთს მშვენიერს დღეს სოფლის ყრილობამ დაადგინა, შეეკეთებინა ეს წყარო და აეწია მაღლა მილი, რაც უნდა ძვირად დამჯდარიყო ეს საქმე. ამოირჩიეს თავიანთს შორის ექვსი შეძლებული ოჯახიშვილი და იმათ მიანდეს ამ საქმის წარმოება. მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ, სამწუხაროდ, კიდევ დიდი საზღვარი დებულა ქონებით და გონებით შეძლებულთ კაცთა შორის. ამ დალოცვილთ აიღეს და თავიანთი ერთადერთი წყალი—ეს უპირველესი სახსარი ცხოვრებისა—ჩაუგდეს ხელში ვიღაც წიფლაშვილს, რომელსაც, არამც თუ წყალის ოსტატობისა არა გაეგება-რა, ისი-კი ვერ წარმოუდგენია, თუ კუჭსა და სინიდისს შორის რამე განსხვავება მოიპოვება, სოფლის რწმუნებულნი და წყლის ცრუ ოსტატი მორიგებულან 400 მანეთად, შეკრულან პირობით, ხელოსანს გამოურთმევია თხუთმეტ თუმნამდე თული და შესდგომია თავისს უკუღმართს საქმეს. დაუნგრევია ამ ვაჟბატონს წყლის ძველი საძირკველი, დუღაბით ამოყვანილი, და ამოუყვანია ახალი.. მიწის ბელტით, ესე იგი, ლაფით (ეს უფრო კარგადაც დაიჭერს და ცივადაც შეინახავს წყალსაო, ჰბრძანებდა თურმე), წამოუდგამს ზემოდგან სამრეკლოს მსგავსი კოშკი, შეულესია თეთრად, თუნუქით დაუხურავს და მორჩენილა. როგორც სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილობიდგან დაინახავდა მკითხველი, წყლის ოსტატს მილი მაღლა უნდა აეწია, რომ წვიმის წყალი აღარ შევარდნილიყო წყაროში; ბ-ნმა წიფლაშვილმა-კი, თუ დაბლა არ დასწია, მაღლა ერთი იოტის ოდნადაც არ აუწევია. ამ გაიძვერა „ოსტატის“ ბედზედ ზამთარიც დადგა და, როგორც მოგეხსენებათ, ამ დროს ქვასაც-კი წყალი გასდის, არამც თუ წყაროს. მაგრამ ბუნებამ ბ-ნ წიფლაშვილის ხათრით არ დაარღვია თავისი წეს-წყობილება:

---

ურისხდა მგზავრს და ცხენი დაფრთხა-შეშინდა, ერთი ფეხი რომ გადაუცდეს, კმარა, მთელი ეტლი თავისის მგზავრებით ყვავ-ყორნების სარჩოდ გახდება.

რა იქნებოდა, ამ გზის მკეთებლებს იმდენს შრომასთან კიდევ ცოტა შრომაც მიეღოთ და მგზავრებისთვის შიშის გამო გულის ძაგძაგი შეემცირებინათ. რა იქნებოდა, რომ, სადაც ასეთი გადასავარდნი და დამღუპველი ადგილებია, ერთის ადლის სიმაღლეზედ მაინც ამოეშენებინათ ქვის კედლები და გზის სიფართოეც მოემატებინათ იმ ადგილებში მაინც, სადაც მიხრილ-მოხრილი და გადასავარდნი ხრამებია, თორემ დღეს ერთის ფეხის გადაცდენა უეცრივ გამოათხოვებს მგზავრს ამ წუთი-სოფელს.

ჩვენის აზრით, ეს ისეთი ნაკლულევანება გახლავთ ლეჩხუმის გზისა, რომელიც საჭიროც არის, გასწორდეს, და ადვილად შესაძლებელი და გასასწორებელიც, თუ-კი სურვილი აქვთ ამ გზის ოსტატებს.

მთელს ამ გზაზედ ს. უწერამდე სწორედ რამდენიმე ადგილი გახლავთ, სადაც ოთხის ცხენით შებმულს ეტლს შეუძლიან გვერდი აუაროს მეორე ეტლს, თორემ დანარჩენ ადგილას გვერდს ვერ შეუვლის ეტლი, თუ ცხენები არ გამოხსნეს და ხელით არ გაატარეს.

ეს გზა სულ რიონის პირს მიჰყვება და მგზავრს არასოდეს არ მოაწყენს მდ. რიონის კლდიდგან კლდეზედ გადმოჯახება და გაშმაგებული ღრიალ-დუდუნი. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, რომ ლეჩხუმის მთაგორაკებს შევუდეგით. მგზავრის თვალს აქ პირველად აქაური ვენახები იზიდავს. ვენახებს კარგი მოსავლის პირი უჩანს, მაგრამ საუბედუროდ, იმ კაცობრიობის დამღუპველს ჭირს—ფილოქსერას აქაც მოუგნია და ბ-ნს სტაროსელსკის აქაც აღმოუჩენია ეს სენი.

დღეს ვენახების მდგომარეობა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველასათვის სადარდელი და სავალალო საგანია. მთელის შორაპნის მაზრის მდიდარ სოფლების მცხოვრებლები დღეს ცხარის ცრემლით სტირიან და შეჰყურებენ გუშინ ლუკმის მომცემს და დღეს ამხმარს და ნავთისაგან დამწვარ-დადაგულს ვაზებს. ხალხი ყველგან აღელვებულია ჩვენის აგრონომების წამლობით. ზოგიერთმა სოფელმა ერთ ხმად მიართვა ბ-ნს სტაროსელსკის თხოვნა, გვასწავლეთ ამერიკულ ვაზების გაშენება და მოვლაო, ეს მამულები ხომ ხელიდგან გვეცლება და იმის მოვლა და გაშენება მაინც გვასწავლეთ, რომ უცებ არ დაგვიშრეს ცხოვრების წყაროო. წინააღმდეგს შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, ძალით აღვიკრძალოთ ჩვენის მამულების წამლობაო.

სწორედ ამ მამულების მდგომარეობით ვიყავი დაღონებული, როდესაც მეეტლემ მოიბრუნა ჩვენსკენ პირი და გვითხრა:

— აი ბატონო, გაიხედეთ, რიონის მარჯვნივ რომ გაჭიმული სახლებია, დ. ონი გახლავთ!

ამ დროს ჩვენი ეტლი ცოტა მაღლობზედ ავიდა და იქიდგან ერთის გადმოხედვით უცებ გადავავლე თვალი დ. ონს, ამ რაჭის მაზრის დაბას, რომელიც თავისის პოეტურის მდებარეობით, გარშემო ლამაზ-ლამაზის მთა-გორაკებით და გვერდზედ მჩქეფარე რიონის დუდუნით სწორედ სასიამოვნო სურათს წარმოადგენს.

დ. ონის შორიდგან ნანახმა მშვენიერმა სურათმა უეცრივ მომაფიქრა დ. ონში შესვლა და გარეგნობის მისს შინაგანობასთან, მისს ქუჩების სიწმინდესა და სისუფთავესთან შედარება. გულმა თითქმის წინადვე მიგრძნო, რომ ონის ადგილობრივი მდებარეობა, მისი გარეგანი სილამაზე და სიწმინდე-სისუფთავე ძალიან დაშორებული იყო ერთმანეთზედ და არც მოვტყუვდი. მეეტლეს ვუთხარი, დაბისაკენ შეუხვიე და სადაც უფრო წმინდა ქუჩები იყოს, იქ გვიშოვე-მეთქი ბინა, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც დაბაში ყველაზედ უკეთესს და წმინდა ქუჩად აღმოჩნდა ის და იქ, სადაც გარშემო ამყრალებული და წუმპე-ტალახიანი ტბების ორმოებია. სიმყრალით მოწამლულის ჰაერის ყნოსვა ისე მძიმე შეიქმნა, რომ თუ არა ერთი ჩემი ნაცნობი, რომელმაც კერძო ოჯახში გვიშოვნა ბინა, იძულებული ვიქნებოდით, ხის ქვეშ გაგვეთია ღამე. წარმოიდგინეთ, მთელს დაბაში 1800 მცხოვრებელია და ერთი ხეირიანი სასტუმრო არ მოიძებნება და არც დუქანია, რომ კაცს შეუწუხებლად ღამის გათევა შეეძლოს. ყველგან სიბინძურე, უწმინდურება და ხალხის სიზანტე გეჩხირებათ თვალში. მცხოვრებლები სამის სარწმუნოებისანი არიან: მართმადიდებელნი, ურიები და სომხები. ურიებს, როგორც ყველგან, ისე დ. ონშიაც პირველი ადგილი უკავიათ საცხოვრებლად. როგორც ყველგან, ისე დაბა ონშიაც ურიები ქალაქის თავში მოქცეულან და სცხოვრობენ. აქაურს ურიებს ერთი ისეთი თვისება შევამჩნიე, რომელსაც ჩვენში თითქმის ყოველგან მოკლებულნი არიან მისნი ძმანი. აქაური ურია ისეთივე მამაცია, თამამი და თითქმის თავხედიც, როგორც თვით მკვიდრი რაჭველები. რაჭის ჯან-მთელს ჰაერს, მთისა და გორების სიდიდეს და სიმაგრეს ებრაელებზედაც უმოქმედნია და ხასიათი გაუმაგრებია. იმათს შორის იშვიათად შეამჩნევთ ლაქუცობას, ურიულს შიშს და მონურს საქციელს, კაცს კაცურად უყურებენ და არა მონურად, არა დამდაბლებითა და დამცირებით.

დ. ონში სამაზრო სამმართველოა, მომრიგებელი მოსამართლე, ნოტარიუსი, აფთიაქი და ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელიც. სახალხო სასწავლებლები, ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებთან შედარებით, ძლიერ ცოტაა რაჭაში და რაც არის, როგორც ეტყობა, ხალხი იმასაც გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარს მოაყოლა გაზაფხული, გაზაფხულს ზაფხული. გათბა დედა-მიწა, აყვავდა მთა და ველი, გამოიღვიძა ბუნებამ, ყოველმა სულდგმულმა სიამოვნებით გააჭყიტა თვალები, მხოლოდ ბაბანაურის წყარო ვერ აჰყვა საერთო ბუნების ფერხულს, რაღაც სნეულება შეეპარა, ნელა-ნელა უკლო მაჯის ცემამ და რამდენისამე კვირის შემდეგ განუტევა კიდეც სული... ასეც უნდა მომხდარიყო: ერთი მიბძანეთ, თქვენი ჭირიმეთ, სად გინახავთ ლაფით ამოშენებული წყაროს საძირკველი, ან მიწის ბელტით დაჭერილი წყალი?!

ეხლა-კი სოფელმაც გამოიღვიძა, შეიქმნა ყაყანი, მითქმა-მოთქმა, საყვედური, ლანძღვა-გინება და შემდეგ, როგორც იყო, გარდასწყვიტეს, აღარ მისცენ წიფლაშვილს დარჩენილი ოციოდე თუმანი ფული და პირობის ძალით „ჯარიმაც" გადაახდევინონ. ამ საქმის წარმოებაც, რასაკვირველია, ზემორე ნათქვამ რწმუნებულთ მიანდეს. სანამ ესენი აიზლაზნებოდნენ, თვალებს მოიფშვნეტდნენ და საჩივრის შეტანას მოახერხებდნენ, კარზედ-კი მოადგათ ბ-ნ თელავის მსაჯულის თანადაუსწრებელ განჩინების ასლი, რომლის ძალითაც ბაბანაურის საზოგადოებას უნდა გარდაეხადა ვითომდა ბაბანაურის წყაროს გამკეთებლის წიფლაშვილის სასარგებლოდ 220 მან. პირობისამებრ და 220 მან. ჯარიმად პირობის დარღვევისათვის, თურმე ნუ ბრძანებთ, ბ-ნს წიფლაშვილს წინადვე უგრძნვია, რაც ბოლო მოელის იმისს ნასტატარს წყაროს და სოფელმა არ დამასწროს საჩივარიო, მიუმხანაგებია ერთი ვიღაც „იანცი" და შეუტანიათ სოფელზედ საჩივარი. შეიქმნა ხელმეორედ ჩოჩქოლი, ჩუმი, გულში ჩაფლული საყვედური „უსამართლო მართლმსაჯულებისა" და სხვა... აქედამაც რომ არა გამოვიდა-რა, მიმართეს ისევ „კანონს", შეიტანეს თანადაუსწრებელ გადაწყვეტილების პასუხი, საქმე დაინიშნა „გასარჩევად", სხვა-და-სხვა მიზეზის გამო გადაიდო, კვლავ დაინიშნა, კვლავ გადაიდო... და ასე, ამ რიგად, ჩვეულებისამებრ, გაჭიანურდა. ვის რა დარდი აქვს, მკითხველო, თუ ამოდენა ქაღალდების ჯღაპნის დროს ხალხი ლამის გასწყდეს აყროლებულის წყლის სმით! სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი, სხვას რომ ველარა დაკლორა., მიუვარდა მამასახლისს და მოსთხოვა, თუ არას გვიშველიო, ემუქრებოდნენ, წყაროს საძირკვლიანად დავანგრევთო. მამასახლისი ახლად არის ამორჩეული, ცოტა შეგნებული კაციც არის, ესეც იტანჯება სოფლის ტანჯვით, მაგრამ რა ჰქნას ამ ბეჩავმა, რომ მის ხელთ არ არის მათი შველის წამალი. ცხადია, ამასაც ისევ კანონი უნდა მოეშველებინა. ფიცხლავ გაქანდა მაზრის უფროსთან, უამბო დაწვრილებით ყოველივე სოფლის მწუხარება, მოახსენა, რომ სანამ სასამართლოში საქმე გათავდება, ხალხი გასწყდება აყროლებულის წყლის სმითაო, და სთხოვა, ან თვითონ მობრძანებულიყო ადგილობრივ წყაროს შესამოწმებლად, ან გამოეგზავნა ვინმე მცოდნე კაცი, რადგანაც ხალხი წყაროზედ წამოდგმულს კოშკს დანგრევას უპირებს და ისევ ძველს წესზედ უნდა დააყენოს, ეგების ამით მაინც გვეშველოს რამეო. ბ-ნმა მაზრის უფროსმა ფიცხელი მიწერილობა გაუგზავნა ყ—ის ბოქაულს, დაუყოვნებლივ შეამოწმე ბაბანაურის წყარო, შეადგინე ოქმი და წარმომიდგინეო. მას შემდეგ აგერ რამდენიმე თვეა, ელის შეწუხებული ხალხი ბ-ნ ბოქაულის მობრძანებას, მამასახლისი ზედი-ზედ სწერს მოხსენებას, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსნენ იმის მოსვლას. ნეტა იმ დალოცვილმა არ იცოდეს მაინც ჩვენი შეწუხება, ან შორს მაინც სცხოვრობდეს ჩვენზედ.

აი ესეა ამ უბადრუკის სოფლის საქმე და რით გათავდება ამოდენა მიწერ-მოწერა, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ის-კი ცხადია, რომ, თუ ვინმე ღვთისნიერი და გულ-შემატკივარი კაცი არ გამოუჩნდა ამ სოფელს, ფულიც გადახდება და თვითონაც დღეს თუ ხვალ რომელისამე ჭირის მსხვერპლი გახდება...

სოფლელი.

## წვრილი ამბავი

ევროპაში ბევრს სჩივიან, ამ ბოლოს დროს სხვა-და-სხვა წვრილი მავნე მწერი ძლიერ გამრავლდა და გახშირდაო, ხოლო უნდა ვსთქვათ-კი, რომ მავნე მწერთა გამრავლება თვით ხალხისავე ბრალია. მიზეზი ისაა, რომ წვრილი ფრინველი გასწყდა და სწორედ ამის გამოც გამრავლდა სხვა-და-სხვა მავნე მწერი. საფრანგეთის სხვა-და-სხვა კუთხეში ათასნაირი მწერი და ჭია-ღუა აღმოჩნდა, რომელიც წინად არც-კი ვისმე უნახავს, და საშინლად აფუჭებს ნათესსა და ხეხილსა. რაც დრო გადის, მწერების ნავნები სასოფლო მეურნეობისათვის უფრო თვალსაჩინო ხდება. ბუნების მეტყველებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ გარემოებას. ერთი წევრი პარიჟის საზოოლოგიო საზოგადოებისა სწერს, მწერების მჭამელ ფრინველთა გაწყვეტა იმ ზომამდე მივიდა, რომ სასოწარკვეთილმა გლეხებმა აღარ იციან, როგორ და რა გზით ებრძოლონ სხვა-და-სხვა მავნე მწერსაო. თუ ევროპის მთავრობანიო—სწერს იგივე წევრი პარიჟის საზოოლოგიო საზოგადოებისა—თავის დროზედ არ შეიტკიებენ თავსა, თუ მფარველობას არ აღმოუჩენენ და არ გაუფრთხილდებიან წვრილს ფრინველსა, ფრინველები სრულიად გასწყდებიან და სასოფლო მეურნეობასაც ცუდი დრო დაუდგებაო. საფრანგეთის ჩრდილო პროვინციებიდგან მრავალი საჩივარი ისმის მწერის მჭამელ ფრინველთა შემცირების გამო. სხვათა შორის ჟან-კოპპენი იწერება იქიდამ, მწერის მჭამელი ფრინველი ეხლა ჩვენში იმის მესამედი ძლივს მოიპოვება, რაც წინად იყოვო. 1889 წელს საფრანგეთის საზოოლოგიო საზოგადოებამ მთავრობას ყურადღება მიაქცევინა იმ გარემოებაზე, რომ ხმელთა შუა ზღვის პირებზე, საფრანგეთის კუთვნილს ნაწილებში, სულ უბრალოდ მრავალს მერცხალსა ჰხოცავენო. მართლაც სამხრეთის საფრანგეთში ელექტრონის შემწეობით ძლიერ ანადგურებენ მერცხლებსა: ზოგჯერ ერთბაშად ასსა და ათასსა ჰხოცავენ. ამ გვარად უბრალოდვე ჰხოცავენ ფრინველებს საფრანგეთის მახლობელს იტალიაშიც. საზოოლოგიო საზოგადოების წევრნი ბევრჯელ ეუბნებოდნენ მთავრობას, სასოფლო მეურნეობის სარგებლობა მოითხოვს, რომ კანონი რამ გამოსცეთ ფრინველთა ხოცვის ასაკრძალავადაო. ამ აზრს საზოოლოგიო საზოგადოების წევრნი მრავალის მაგალითით ამტკიცებდნენ და ნათლად უხატავდნენ მთავრობას, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობას მტკიცე კავშირი აქვს ფრინველთა შენახვასთანაო. ყველაზე უარესი მტერი ფრინველებისა ბავშვები არიან, განსაკუთრებით სოფლის ბავშვები, რომელთათვისაც ფრინველის ბუდის ჩამოშლა მეტად სასიამოვნო და გასართობი საქმეა. ქსავიე რასპაილმა სთქვა საზოოლოგიო საზოგადოებაში—საფრანგეთში ბავშვები ყოველ წლივ ათი-ათასობით ჰშლიან ფრინველების ბუდეებსა. მთელი დღე ბალღები სულ ბუდეების საძებნელად დაწრიწიან, ადიან ხეებზე და თუ ხელით ვერ მისწვდებიან ნაპოვნს ბუდესა, მაშინ ქვასა და ჯოხებს მიიშველიებენ ხოლმე, რომ უთუოდ მოუშალონ ბინა ფრინველებსა, ან კვერცხები დაუმტვრიონ და ან კიდევ ბარტყები წაიყვანონ. ყმაწვილებს გარდა კიდევ სხვა მტერიც ჰყავს ფრინველებს—თრითინა, დამურა და სხვა არა ნაკლებ ყმაწვილებისა ემტერებიან ბუდეებსა, მაგრამ ბავშვებსა და სხვაზედ უმეტესად-კი კატები ჰხოცავენ ფრინველებს. რასპაილი ამტკიცებდა კიდეც, კატებს სარგებლობა არა მოაქვთ-რა იმითი, რომ თაგვებსა და ვირთაგვებს იჭერენო. თაგვები სუნით იგებენ კატის მიახლოვებას და ამიტომ უფრთხიან, ხოლო ვირთაგვებს-კი აგრე რიგად ვერას აკლებენ კატებიო. რასპაილის აზრით, კატების ყოლას ისევ ისა სჯობია, რომ მახეები იხმარონ თაგვების საჭერადაო. კატებიც, მართალია, ზოგჯერ კარგა ნადირობენ, მაგრამ რასაც ზარალსა სჩადიან ფრინველების დახოცვით, იმდენი სარგებლობა არა მოაქვთ-რაო. დასასრულ რასპაილმა სთქვა, საჭიროა დავაკანონებინოთ, რომ ფრინველი არა ჰხოცონ და ის კატებიც, რომლებიც ფრინველზე ნადირობენ, დაჰხოცონ, როგორც მავნე და მაზარალებლებიო. ამასთანავე ჯილდო უნდა დაუნიშნოთ იმ ტყის მცველებს, რომელნიც თრითინებსა და სხვა ამ გვარს ფრინველის მჭამელს ცხოველებს დახოცავსო. მხოლოდ ამ გვარის ღონისძიებით შეიძლება ფრინველები გავამრავლოთ და იმათის შემწეობით თავი დავაღწიოთ ათას ნაირს მწერს, რომელიც მოსავალს გვიჭამს და მშიერსა გვტოვებსო. რასპაილმა თავის აზრის დასამტკიცებლად შემდეგიც მოიხსენია. უდაბნო საჰარაში ადრევ კალია არავის გაუგონია, რადგანაც წინად სირაქლემა ბლომად იყო და აწყობდა, მაგრამ ეხლა-კი მრავალი ნათესი საჰარაში კალიის ლუკმად ხდება და მხოლოდ იმიტომ, რომ სირაქლემა თითქმის გააწყვესო.

## დეპეშა

25 აგვისტო

**პეტერბურგი.** შაბათს ხელმწიფე იმპერატორი მემკვიდრე ცესარევიჩითურთ და წევრნი დანიის სამეფო გვარეულობისანი, შვეციის მეფის მიერ მიწვეულნი, სანადიროდ ბრძანდებოდნენ კუნძულს ხვენზე. ნადირობას შემდეგ უმაღლესს სტუმრებს სადილი მიართვეს შვეციის სამეფო იახტა „დროტტზე".

გაზეთები იუწყებიან, ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროს ბჭობა ექნება იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას შავის პურის გატანა საზღვარ გარედ არხანგელსკის მხრით და გამომცხვარ შავის პურისა ანუ გამხმარისა ევროპის საზღვრითაო.

ფინანსთა სამინისტროს მალე ექნება ბჭობა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ახალი განყოფილებანი სახელმწიფო ბანკისა სამაზრო ხაზინებთან.

**მოსკოვი.** რომ მოუსავლობისაგან დაზარალებულს ხალხს სამუშაო რამ აშოვნინონ, ამიტომ შეუდგნენ 30 ვერსის რკინის გზის გაყვანას კოლომნიდამ სოფ. ოზერის ქარხანამდე. ამ დღეებში დაიწყებენ გზის გაყვანას რიაზანიდამ ყაზანამდე.

შაბათს საფრანგეთის გამოფენიდგან რამდენიმე კაცი ავიდა ჰაერში ჰაეროსტატით. 200 მეტრის სიმაღლეზე ჰაეროსტატი გაიბზარა და ძირს დაეშვა. ჰაეროსტატი გამოფენის ბანზე ჩამოვარდა და მხოლოდ ერთი კაცი დააშავა მსუბუქად.

ცივად უცქერის. ამ გულ-ცივობის მიზეზი, რაღა თქმა უნდა, სწავლა-განათლების საჭიროების უგრძნობლობაა. რაჭველი გლეხი დღეს თითქმის ისეთივე ბინძური, ისეთივე ზანტი და გონება გაუხსნელი და ყრუ ცრუ-მორწმუნეა, როგორიც ყოფილა მისი მამა და პაპა ამ ოცის და ოც-და-ათის წლის წინად.

თითქმის ყველასათვის გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, რომ პირველი მოსაქმე და განათლების შემომტანი ხალხში გზები და სასწავლებლებია, რომლითაც რაჭა ჯერ, საუბედუროდ, სხვა მაზრებზე ჩამორჩენილია. რაჭის ზოგიერთს სოფელში კაცი ისე დაიბადება, იცხოვრებს და მოკვდება, რომ თავისს სამშობლოს არ მოშორდება და, და არამც თუ შორეულს ქალაქებს, ქუთაისსაც ვერ ჰნახავს.

— ბასილა, ასე ეძახდნენ ერთს უწვერულს გლეხს, რომელსაც დაველაპარაკე: ამდენი შვილები გყოლია და რატომ ერთი მაინც არ მიგიცია სასწავლებელში, აგერ საზოგადოების კანცელარიასთან სასწავლებელიც გქონიათ და რატომ არ აძლევთ ამ სიცოცხლით სავსეს და მარჯვე პატარა ბიჭებს სასწავლებელში?!

— სასწავლებელში, ჰი, ჩვენ შვილებს ქვე რა უნდა. რა მამა-კაცის საქმეა წიგნის სწავლა. ჩვენი სასწავლებელი, ჰი, მთაში მუშაობა და ნახირის მომწყესვა არის, ქვე სად სცალია ჩვენს შვილებს წიგნის სასწავლებლადაო, მომიგო ბასილამ.

საზოგადოდ სწავლა-განათლებას შეუძლიან, ჩემო ბასილავ, შენის სიღარიბისაგან დახსნა, შენის შინაურის სიბინძურის გაწმენდა და გასუფთავება. შენი შვილი, როდესაც ისწავლის, გონება-განვითარებული იქნება, წავა სხვა ქვეყნებში და ცოდნასთან ფულსაც შეიძენს და ამით გააუმჯობესებს შენს ოჯახსაც. შენ, ჩემო ბასილა, რა გაგეგონება, ან რა გამოცდილება გექნება, ამ გავერანებულის და უზარმაზარის მთების მეტი რომ არა გინახავს-რა. შეიძლება ისეც მოკვდე, რომ ქუთაისიც ვერა ნახო.

— ქუთაისში ქვე რა დამრჩენია, ჰი, საქმე არაფერი მქონია და ისე რად წავიდოდი ქუთაისში!..

— ბასილა, თუ კაცი ხარ, ერთი ეს მითხარი, ამ დედაკაცებს რად ამუშავებთ ასე სასტიკად და თქვენ-კი მხარ-თეძოზე წამოწოლილნი გდიხართ შინ და ყალიონს ეწევით?! დედაკაცს განა შინაური ოჯახის საქმეები არ ეყოფა, რომ კაცების სამუშავარსაც იმათ აკეთებინებთ?..

— რათა, ბატონო, დედაკაცებს განა ჭამა არ უნდათ? ჩვენი ცოლები სულ ფულად გვყავს, ჰი, ნაყიდი.

— როგორ თუ ნაყიდი? გამიკვირდა.

— როგორ, ჰი, და ჩვენში ისეთი ადათია, რომ ქალის დედმამას სიძემ უნდა მიუტანოს ფულები და ქალს მაშინ მიათხოვებენ, ასე რომ თითო ჩვენი დედაკაცი ზოგს ოც-და-ათი თუმანი გვიზის და ზოგს კიდევ მეტიც.

მართლაც, აქ დაბალს ხალხში ჩვეულება ჰქონიათ: ყმაწვილი ცოტა წამოიზრდება თუ არა, მაშინვე დაინიშნება და პატარა სიძე საცოლოსთან ერთად იზრდება და ერთმანეთთან ცხოვრებას ეჩვევიან. შემდეგ, როდესაც წლოვანნი შეიქნებიან, ჯვარს იწერენ და შეუდგებიან ერთად ცხოვრებას. ჯვარის დაწერამდე პატარა სიძე ხშირად დადის თავის საცოლოს მშობლების ოჯახში და იქაც იმ გვარის პატივისცემით უხვდებიან, როგორც ნამდვილს სიძესა და ოჯახის მოკეთეს. ძლიერ იშვიათი შემთხვევაა, რომ ერთხელვე დანიშნული საცოლო პატარა სიძემ დასტოვოს. თუ ასეთი ამბავი მოხდა, მაშინ-კი დიდი სიძულვილი და შურისძიება ჩამოვარდება მშობლებს შორის და ოჯახის ასეთი შერცხვენა უსათუოდ რითიმე უნდა ამოიგონ სასძლოს მშობლებმა და მაგიერი გადაუხადონ. აქ, როგორც თითქმის ყოველს მთის ხალხში, უამისოდაც ერთმანეთს შორის შურის ძიება, სისხლის ამოგება და მტრობა გაძლიერებულია. სისხლი თუ მამამ თავისს სიცოცხლეში ვერ ამოიგო, შვილს და ან შვილიშვილს დაუბარებს, რომ ეს სისხლი არ შეარჩინოს და თავისს მოსისხლე მტერს უსათუოდ სამაგიერო გადაუხადოს. ერთის სიტყვით, თუმცა ხალხს არა უჭირს-რა:

„მაგრამ ღალვა, შური და მტრობა
იმათ შორისაც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მსნეობა
აღმვრისა უმალ გაცუდებულა".

ახლად მოყვანილი პატარძალი ერთს წელიწადს განთავისუფლებულია ოჯახის შრომისა და მოვლისაგან. შემდეგში, თუ ოჯახში რამდენიმე რძალია, ერთს წელიწადს ერთს მიანდობენ ოჯახის ყოველ გვარს საქმესა და დანარჩენი დიდი და პატარა ყოველ გვარს მინდვრის სამუშავარს აკეთებენ. ხშირად შეხვდებით აქაურს ყანებში კაცი ერთი მუშაობს და ქალი-კი ხუთი—ექვსი გვერდში ამომდგარნი ეწევიან მამაკაცთან ერთად გაჭირვების ცხოვრების ჭაპანს. აქ, როგორც შევამჩნიე, მამაკაცზედ დედაკაცი უფრო მეტს შრომაშია, უფრო მეტი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ოჯახის წინაშე.

რადგანაც მთა-გორებიან ადგილის მდებერეობისა გამო რაჭაში ადგილ-მამული ძვირია, ამისათვის მთელი ზამთარი რაჭველი გლეხი მოშორებულია თავისს სამშობლოს, თავისს ტკბილს ცოლო-შვილს და სხვა-და-სხვა ქალაქ-სოფელში მიდის ფულის საშოვრად.

სად გინდა, რომ არ იყოს რაჭველი მეპურე, მხერხავი, მესაზანდრე, მეკურტნე და ეხლახანს მზარეულ-მოსამსახურეც-კი.

მამა-კაცების შინ არ ყოფნის დროს ყოველ გვარს სამუშაოს მამა-კაცებისას დედაკაცები აკეთებენ და მხნედ იბრძვიან ეს შრომის შვილნი.

(დასასრული იქნება)

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ფქვილის ფასმა ძლიერ აიწია.

**პარიჟი.** სერბიის მეფე არა-ოფიციალურად გაემგზავრა კარ-სარ-იბში საფრანგეთის ჯარების დიდს ალლუმზე დასასწრებლად.

სოფიიდგან იუწყებიან, პოლიციამ მოიმიზეზა ბელჩევის მოკვლის გამოძიების საქმე და ბოლგარიის ექსარხოსის მოადგილის ეპისკოპოსის მეთოდის სახლში შევიდა გასაჩხრეკად და ეპისკოპოსისა და ექსარხოსის მიერ ერთმანეთს შორის მინაწერი წერილები წაიღო. ხალხი ძლიერ აღელვებულია სოფიის მთავრობის ასეთის ქცევის გამო. ეპისკოპოსმა მეთოდიმ განაცხადა, ქალაქსა ვტოვებ და მივდივარო, მაგრამ მთავრობა ეწინააღმდეგება.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 45 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 229¼ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 213 | — „ | 210½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვითონ ავტორთან ფოთში

**სიმრთელის კიდობანი**

(კარაბადინი)

ოჯახში სახმარებლად

შედგენილი ილია ვასილის ძის სოლაქველიძის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

(5—104—5)


# ბალანსი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 მკათათვისათვის 1891 წლისა.

### აქტივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული. . . . . . | 16,065 | 25 | | |
| გირაოს ფურცლებით . . . . . | 76,900 | — | 92,965 | 25 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . | 16,344 | 01 | | |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში. . | 319 | 59 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . | 48,861 | 90 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან . . . | 187,514 | 38 | 253,039 | 88 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. . . | — | — | 30 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ-საყოფლად გირაოს ფურცლების გამოცემისა (წესდებისა § 50) . . (220,000) | 202,885 | 94 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირაოს ფურცელთა დ კუპონთა (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . . . . . (60,000) | 56,859 | 89 | 306,509 | 63 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში: | | | | |
| ა) 5% ობლიგაციები II-დ-III აღმოს. სესხისა, სათადარიგო თანხაში ჩარიცხული. . . (3,500) | 3,489 | 60 | | |
| ბ) 6% გირავნობის ფურცელნი ქუთაისის ბანკ. სასაკუთრო. (31,700) | 30,986 | 87 | 34,476 | 47 |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 ივლისამდე 1891 წლისა . . . . . . . . | — | — | 10,275 | 17 |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი. . . | — | — | 37,100 | — |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე $43^1/_2$ წლით . . . . . . | 1,260,800 | — | — | — |
| ბ) ქალაქის მამულებზე $18^7/_{12}$ წლით | 1,881,800 | — | 3,142,600 | — |
| გ) მოკლე-ვადიანნი სესხნი. . . | — | — | 133,160 | — |
| ვადას გადაცილებული გადასახადი: | — | — | 262,313 | 12 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . . . . . . . | — | — | 18,400 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები. | — | — | 19,260 | — |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელნი . . . (2,000) | — | — | 1,800 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | — | — | 43,212 | 79 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . | — | — | 96,581 | 87 |
| ხარჯები: ა) ბანკის მოწყობა-მორთულობაზე . . . . . . . . . | — | — | 1,522 | 78 |
| ბ) მართვა-გამგეობისა. . . . . | 13,417 | 32 | — | — |
| გ) არა-ჩვეულობრივი. . . . . | 18,143 | 89 | 31,561 | 21 |
| კომისია კუპონებისა და გირავ. ფურც. გარდასახადისა. . . . . . | — | — | 703 | 36 |
| 3% გარდასახადი მოგებიდგან . . . | — | — | 613 | 82 |
| გერბის გადასახადი . . . . . . | — | — | 46 | 10 |
| ტალონები გირავნობის ფურცელთა . | — | — | 1,100 | — |
| კუპონების ოცის წლის გირავნობის ფურცელთა . . . . . . | — | — | 4,793 | — |
| ბალანსი | — | — | 4,492,064 | 45 |

### პასსივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი . . . . . . . . | — | — | 554,459 | 66 |
| სათადარიგო თანხა . . . . . . | — | — | 66,276 | 38 |
| საზოგადო საჭიროების თანხა. . . . | — | — | 3,976 | 38 |
| გირაოს ფურცელნი გამოსაცემნი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი. . . . . . | 14,600 | — | — | — |
| ბ) $18^7/_{12}$ „ . . . . . . | 22,500 | — | 37,100 | — |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი. . . . . . | 1,260,800 | — | — | — |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ . . . . . | 1,881,800 | — | 3,142,600 | — |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი. . . . . . | 5,878 | 38 | — | — |
| ბ) $18^7/_{12}$ „ „ . . . . . | 63,988 | 88 | 69,867 | 26 |
| თანხა სარგებლისა: | | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანი. . . . . . | 37,824 | — | — | — |
| ბ) $18^7/_{12}$ წლიანი . . . . . | 56,454 | — | 94,278 | — |
| მომავალი გადასახადი. . . . . . | — | — | 5 | — |
| ფული გადადებული საზღვეველად: | | | | |
| ა) გირაოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულთა . . . . . . . | 203,400 | — | — | — |
| ბ) 1 ივლისის 1891 წლის ვადის | | | | |
| გირაოს ფურცელთა კუპონები 102,147 | | | | |
| გ) წინანდელი ვადებისა . . 771 | 102,918 | — | 306,318 | — |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით. . ($43^1/_2$ წ. | 1,545 | 65 | — | — |
| $18^7/_{12}$ „) | 24,537 | 24 | 26,082 | 89 |
| ბ) გირაოს ფურცლებით ($43^1/_2$ წ. | 2,100 | — | — | — |
| $18^7/_{12}$ „) | 16,300 | — | 18,400 | — |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 11,720 | 30 | — | — |
| ჯარიმა. . . . . . . . . . | 9,917 | 10 | — | — |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . . . . | 11,057 | 71 | — | — |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . | 1,372 | 01 | — | — |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვა. . . . . | 41,837 | — | 75,904 | 12 |
| გადამავალი ჯამი. . . . . . . | — | — | 3,793 | 12 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასაში: | | | | |
| ა) შესანახავად . . . . . . . | 20,700 | — | — | — |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ. . | 56,200 | — | 76,900 | — |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები. . . . | — | — | 3,369 | 05 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი გადასახადი. . . . . . . . | — | — | 5,921 | 64 |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები. | — | — | 4,793 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა . . . . . . . | — | — | 1,100 | — |
| 5% სახელმწიფო ღალა. . . . . | — | — | 919 | 95 |
| ბალანსი | — | — | 4,492,064 | 45 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 27-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.